


შპს „ქრიზოლითი +" აკრედიტირებული

A ტიპის ინსპექტირების ორგანო

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0246

ადასტურებს, რომ

შპს "ქრიზოლითი +"-ს

ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. #47ბ;

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება; შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2- ის მიხედვით); სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების)ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება /ინსპექტირება. მათ შორის: საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალაწირება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; ხიდები; არქიტექტურული ნაწილი; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო გეოლოგიური კვლევა/დასკვნა
(იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
13 დეკემბერი 2018 წ.

ძალაშია
12 ოქტომბერი 2020 წ.

ბ.ს.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

ქრიზოლითი+

შპს „ქრიზოლითი +“
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0105, შ.დადიანის ქ. №24ა(იურიდიული)
თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. №47ბ (ფაქტიური)
ტელ : (+995 32) 2 14 24 44
ელ.ფოსტა: khrizoliti@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0246

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013.
აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0246

საპროექტო დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიში №QRT/IB-A4-19-57 (საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილი)

1. **შედგენის თარიღი:** 07.03.2019 წ.
2. **შეკვეთის ინსპექტორმა :** სერგო გოგმაჩაძე, ინჟინერ გეოლოგი, გეოლოგიის დოქტორი, პროფესორი 47-წლიანი სტაჟი.
3. **განაცხადი:** N QRT/IB-A4-57, 01.03.2019წ. **ხელშეკრულება** №QRT/IB-57, 01.03.2019წ.
4. **დამკვეთის დასახელება:** შპს „მაილინ გრუპი“.
5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ შედგენილი: ქ,თბილისში წურწუმიას ქუჩაზე, საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევითი ნაწილი.
6. **ინსპექტირების ამოცანა:** საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან და ნორმატიულ ლიტერატურასთან.
7. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ინსპექტორი: /სერგო გოგმაჩაძე/

შპს ქრიზოლითი+ 404474065 KHRIZOLIT+ LTD

8. წარმოდგენილი დოკუმენტები:

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ შედგენილი: ქ,თბილისში წურწუმიას ქუჩაზე, საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა - ერთი ალბომი.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა დამოწმებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გენერალური დირექტორის ბ.მირიანაშვილის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით. ინჟინერ-გეოლოგი ა.პასიკაშვილი.

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილია 14 თავისგან,
11 ნახაზი, 17 ცხრილი, 1 ტოპოგეგმა, 12 გრაფიკი.

- საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილია 5 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 94 გძ/მ., სინჯების რაოდენობა დარღვეული და დაურღვეველის 32 ნიმუში, 3 წყლის სინჯი.

საკვლევი ტერიტორიების ექვსივე წერტილში ჭაბურღილები 1,2,3,4,5, თითქმის იდენტურია. გამოყოფილია 5 ფენა და 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე).

ფენა 1 – 0.8-1,6 მ -მდე ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილია თიხნარის კენჭების, ღორღის და აგურის ნატეხების ნარევით. დამუშავების მიხედვით 24ა IIკატ.

ფენა 2 –0,8-1,6 მ-დან 4,6-7,5მ-მდე გავრცელებულია დელუვიური თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილია მყარი და ნახევრადმყარი კონსისტენციის, ძლიერ თაბაშირიანი ღია ყავისფერი თიხნარებით, კენჭების იშვიათი ჩანართებით. დამუშავების მიხედვით 33ბ IIკატ.

ფენა 3 – 4,6-7,5 მ-დან 6,0-10,6 -მდე გავრცელებულია ალუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილია ძირითადი რიყნარით,ქვიშნარის შემავსებლით 30% მდე დამუშავების მიხედვით ნვ IIIკატ.

ფენა 4 – 6,0-10,6მ-დან რიყნარები შემოფენილია ზედა ეოცენის ძირითადი ქანები. ეროზიული ზედაპირიდან, ძირითადი ქანები 4,10-5,9მ-ის სიმძლავრის ფარგლებში, ძლიერ გამოფიტულია, დაშლილი დანაპრალიანებული და ზოგან გათიხებულია. აქ უმთავრესად გავრცელებულია არგილიტები და ისინი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ელუვიურ ზონას. დამუშავების მიხედვით განსაზღვრულია ბურღვით ნატეხი ხიმინჯებისათვის. 4-5 და 4-6 ცხრილებიდან.

ფენა 5 - 18-20მ სიღრმემდე ძირითადი ქანები წარმოდგენილია არგილითების და ქვიშაქვების

მორიგეობით, რომელიც ნაკლებად გამოფიტულია. დამუშავების მიხედვით

განსაზღვრულია ბურღვით ნატეხი ხიმინჯებისათვის. 4-5 და 4-6 ცხრილებიდან.

სგე-ს მიხედვით გრუნტები ხასიათდებიან შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

სგე 1 -ფენა 2 მოცულობითი წონა ρ=1.75 გ/სმ³;

პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=2.5კგ/სმ²;

დეფორმაციის მოდული E=210 კგ/სმ²;

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=21°;

შეჭიდულობა C=0.25 კგ/სმ²;

საგების კოეფიციენტი K=3.0კგ/სმ³

პუასონის კოეფიციენტი μ=0,35.

სგე 2 -ფენა 3 მოცულობითი წონა ρ=1.95 გ/სმ³;

პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა R_0=4,5კგ/სმ²;

დეფორმაციის მოდული E=450 კგ/სმ²;

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=33°;

შეჭიდულობა C=0.02 კგ/სმ²;

საგების კოეფიციენტი K=6,0კგ/სმ³

პუასონის კოეფიციენტი μ=0,27

სგე 3-ფენა 4 მოცულობითი წონა ρ=2,0 გ/სმ³;

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc=1500კპა

საგების კოეფიციენტი K=20,0კგ/სმ³

პუასონის კოეფიციენტი μ=0,25

სგე 4-ფენა 5 მოცულობითი წონა ρ=2,3 გ/სმ³;

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc=6000კპა

საგების კოეფიციენტი K=80,0კგ/სმ³

პუასონის კოეფიციენტი μ=0,20

საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულებულია სამშენებლო მოთხოვნების დაცვით.

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია". საქართველოს

მკ· განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.

2. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების საძირკვლები". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924,

2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.

3 . პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.

4. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები QRT/IB /GP-7.1.- 4/5

დასკვნა

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ შედგენილი: შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ შედგენილი: ქ.თბილისში წურწუმიას ქუჩაზე, საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობის დოკუმენტაციის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: /ს.გოგმაჩაძე/

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექნიკურმა მენეჯერმა: /გ. ცხოვრებაშვილი/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ. ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 01.03.2019წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი: 07.032019წ.

ბ. ა.

შპს ქრიზოლიტი + 404474065 KHRIZOLIT+ LTD